

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების თავისებურებანი  
საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში

თათია ხაბეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო/ბიზნეს სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ვაშაკიძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

*როგორც წარმოდგენილი სამაგისტროს ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებულ სათანადო წესების შესაბამისად.*

თათია ხაბეიშვილი/

01.29.2018

აბსტრაქტი

ბიზნეს სამართალი საინტერესო განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა, რაც სხვადასხვა იურიდიულმა პირებმა აქტიურად დაიწყეს საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების განხორციელება. საერთაშორისო პერსპექტივა ბიზნესისათვის მნიშვნელოვანია, რადგან საკმაოდ მაღალია რისკი იმისა, რომ პირები ჩაერთონ დავაში, რომელსაც საერთაშორისო შედეგები ექნება. შესაბამისად, საქართველოს ჩართულობამ საერთაშორისო ბიზნესში, აქტუალური გახდა საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი. ამგვარი ღონისძიების დახმარებით მხარე ცდილობს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შეიქმნას გარკვეული გარანტიები და თავიდან აიცილოს გადაწყვეტილების აღსრულებლობით გამოწვეული ზიანი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობისა და თავისებურებების წარმოჩენა და მათი შედარება. ნაშრომში მიმოხილულია საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში საქართველოს სასამართლოების მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა იმ საქმეზე, რომელიც არსებითად სხვა ქვეყნის სასამართლოში განიხილება, უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საქართველოში ცნობა-აღსრულება და საქართველოს სასამართლოების კომპეტენციის შეფასება ამგვარი საპროცესო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთან, ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს სასამართლოში წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების და ცნობა-აღსრულების წინაპირობები და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით.

უცხო ქვეყნის სასამართლოში მიმდინარე ძირითადი სამართალწარმოების დასახმარებლად საქართველოში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნისას წარმოიშობა გარკვეული სირთულეები, რადგან ამგვარ შემთხვევაში საქართველოს სასამართლო მოწყვეტილია საქმის არსებითად განხილვას და არ აქვს წვდომა ძირითად საქმეში არსებულ მასალებთან. სწორედ ამიტომ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას მოსამართლეს უჭირს სარჩელის უზრუნველყოფის

ღონისძიებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობების არსებობის შეფასება და დადგენა. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი გზის მოძიების მიზნით, შევეცდებით გავაანალიზოთ ინგლისის სასამართლოს გამოცდილება და მოვარგოთ იგი ქართულ რეალობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თავდაცვის ღონისძიება, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი, ცნობა-აღსრულება.

Business Law has become especially interesting since various legal entities actively started to carry out international business transactions. International perspectives are important for businesses, as there is a high risk of involvement in the dispute that will have international results. Consequently, Georgia's involvement in the international business has made it relevant to the use of an interim measure in the international civil proceedings. With the help of such a measure, the party tries to create certain safeguards for the enforcement of the decision and to prevent the damage caused by the failure of the decision.

The aim of the present paper is to present and compare the possibilities and characteristics of application of the interim measures in the international civil process. The paper reviews the possibility of using the interim measures by the courts of Georgia in the international civil proceedings concerning the case, which is considered in the court of the other country, also it discusses the cases and consequences when the foreign court provides the recognition and enforcement of the event in Georgia, which is the competence of the courts of Georgia to assess the implementation of such procedural actions. At the same time, the study analyzes the prerequisites for the application of interim measures by the Court of Georgia and the prerequisites of the application and the practice of the courts of Georgia in relation to the abovementioned issues.

Georgian courts face certain difficulties when adjudicating on measures to secure claims as in assistance of primary litigation conducted in foreign court. In such cases Georgia courts cannot participate in primary adjudication and do not have access to case materials. Therefore, while deciding on application of a measure to secure a claim judges often face difficulties to assess and determine existence of conditions stipulated by Legislation of Georgia. Regarding issue described above we will analyze case-law of English courts and will propose its implementation into Georgia legal reality.

Key search keywords: interim measures, protective measures, international civil proceedings, recognition and enforcement.